რეცენზია

თ. მაღლაკელიძის და თანავტორების მიერ წარმოდგენილ ეროვნულ პროტოკოლზე „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დიაგნოსტიკა, მართვა და პრევენცია“

ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფქოდ) მსოფლიოში სიკვდილიანობისა და ინვალიდობის წამყვანი მიზეზია. ინდუსტრიულ ქვეყნებში ზრდასრული მოსახლეობის 5–15%-ს სპირომეტრიით დადასტურებული ფქოდ-ი აღენიშნება. ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება განაპირობებს ადრეულ სიკვდილიანობას, სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებლებსა და ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან დანახარჯებს. 2020 წლის პროგნოზით მოსალოდნელია, რომ ფქოდ-ი იქნება სიკვდილიანობს მესამე წამყვანი მიზეზი მთელს მსოფლიოში (მაშინ, როცა 1990 წელს მხოლოდ მეექვსე იყო) და ადრეული სიკვდილიანობის ან ინვალიდობის შედეგად დაკარგული წლების (DALY) მიხედვით მეხუთე ძირითადი მიზეზი მსოფლიოში (მაშინ, როცა 1990 წელს მხოლოდ მე-12 იყო). აქტიური მოწევა რჩება მთავარ რისკ-ფაქტორად, მაგრამ სხვა ფაქტორები სულ უფრო კარგად შესწავლილი ხდება, მაგალითად, სამუშაო ფაქტორები, ინფექციები და ჰაერის დაბინძურების როლი. ფქოდ-ის პრევალენტობა განსხვავდება ქვეყნის, ასაკისა და სქესის მიხედვით. ეს დაავადება ასევე ასოცირდება მნიშვნელოვან თანაარსებულ პათოლოგიებთან. უახლოესი წლების მთავარი გამოწვევა იქნება თამბაქოს მოწევის შემცირება პოპულაციაში ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების ადრეულ გამოვლენასთან ერთად.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით 2018 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში 75.9% ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე მოდიოდა. ფქოდ-ის პრევალენტობამ 100000 მოსახლეზე 218.1, ხოლო ინციდენტობამ 74.3 შეადგინა. 2017 წელს ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 212 და 77 იყო. ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ფქოდ-ის წილი ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობების სტრუქტურაში მაღალია, და, ამავე დროს, მისი პრევალეტობაც მზარდია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა მსოფლიოსთვის და საქართველოსთვის. ძირითადი წყარო, რითიც ხდება ამ დაავადების დიაგნოსტიკა და მართვა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მართვის გლობალური ინიციატივაა [The Global Initiative for Chronic Obstructive Lung Disease -GOLD], რომელიც პერიოდულად ანახლებს ფქოდი-ს მართვის საერთაშორისო რეკომენდაციებს. 2017 წლის შემდეგ, 2020 წელს გამოვიდა ახალი რეკომენდაციები, რომელშიც, სხვა სიახლეებთან ერთად, მოყვანილია ფქოდ-ის კლასიფიკაციის ახალი სისტემა და განხილულია ახალი სამკურნალო საშუალებები. სწორედ ამ უახლეს, 2020 წლის ფქოდ-ის მართვის რეკომენდაციებს, ასევე UpToDate-ს და ბოლო სამი წლის განმავლობაში

მაღალი იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს ეფუძნება საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მიერ წარმოდგენილი ეროვნული პროტოკოლი „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დიაგნოსტიკა, მართვა და პრევენცია“.

ავტორთა ჯგუფის მიერ დეტალურად არის განხილული ფქოდ-ის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები, რისკ-ფაქტორები, დაავადების შეფასების ახალი, ჰაერის ნაკადის შეზღუდვის სიმძიმის კლასიფიკაცია, ქოშინის მოდიფიცირებული შკალა, ფქოდ-ის შეფასების CAT ტესტი, ფქოდ-ის კომბინირებული შეფასების ABCD ინსტრუმენტი, GOLD "ABCD" კლასიფიკაცია: სიმპტომების და გამწვავებების რისკის შეფასება მკურნალობის დასაწყებად. ასევე წარმოდგენილია ფქოდ-ის ფარმაკოლოგიური მკურნალობის სხვადასხვა ასპექტები და მედიკამენტების ჯგუფები. ცალკე თავი ეთმობა პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას - ფქოდ-ის პრევენცია და პულმონური რეაბილიტაცია.

პროტოკოლის გაცნობის შემდეგ ყველა ექიმს, რომელიც მედიცინის ამ სფეროში მუშაობს, შესძლებლობა ექნება სრულიად თანამედროვე დონეზე მოახდინოს პაციენტის სიმძიმის შეფასება და კლასიფიცირება და სიმძიმის შესაბამისადვე განსაზღვროს ფარმაკოლოგიური მართვაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რესპირაციული ასოციაციის მიერ წარმოდგენილი ამ პროტოკოლის მიღება ხელს შეუწყობს როგორც პირველად ჯანდაცვაში, ისე სტაციონარულ ქსელში ფქოდ-ით დაავადებული პაციენტების მართვის ხარისხის გაუმჯობესებას, შეამცირებს ფქოდ-ის გამწვავებების და ჰოსპიტალიზაციის სიხშირეს, რაც საბოლოო ჯამში აისახება ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მძიმე შემთხვევების და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით განპირობებული ლეტალობის შემცირებაში.

პატივისცემით,

პროფესორი კახაბერ ჭელიძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ)
შინაგან დაავადებათა #1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი

თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის
თერაპიის მიმართულების ხელმძღვანელი

საქართველოს შინაგან დაავადებათა კოლეგიის ვიცე-პრეზიდენტი